საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ბრძანება N 2-462

ქ. თბილისი

30/05/2019

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

მიმდინარე წლის 7 მაისს სამინისტროს მომართა შპს „ჯი თი ემ გურპის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2012 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) (ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თ. იოსებიძის ქ. №57, ბ №22) პროექტზე გაცემულია №11 (27.02.2012) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და №000035 (29.02.2012) გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2012 წლის №11 პროექტზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2012 წლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვი მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის №ი-56 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით

იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2012 წლის №11 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ჯი თი ემ გრუპის“ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხანა) გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება თანდართული სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №11; 27.02.2012);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ჯი თი ემ გრუპ“-ის მეტალურგიული წარმოების (ფეროშენადნობთა ქარხანა) საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვი მინისტრის 2012 წლის 29 თებერვლის №ი-56 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯი თი ემ გრუპს“;
7. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯი თი ემ გრუპს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი